

№ 26

29 თიბათვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ᲫᲝᲕᲔᲚ ᲥᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔ-ᲔᲙᲝᲜᲝ-ᲤᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „ᲙᲚᲓᲔ“. დეპეშისა: თბილისი ᲙᲚᲓᲔ.

ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ!

გამოცემა ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ

რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე).—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა, – მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი** შემოსატანი — 1 მან., მეორე — პირველ ნოემბერს – 1 მ., და მესამე — 1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება თბილისში: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩა 52), და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი: **კნ. ანასტასია ალექ. ასული მაჩაბლისა.**

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. მეთაური. 2. ბასუხი გაზ. „იმერეთს“.—**რ. გ—ესი.** 3. ბ რ ე ს ა. 4. ბედაგოგის ნიმუში.—**ი. ა—შვილისა.** 5. წყალი.—**დ. ვაჩნაძისა.** 6. საზოგადოებანი ჩვენში.—***—**სა.** 7. რას ამბობენ ტიფერები.—**ეკალისა.** 8. კოოპერატივის მუშაკთა დაჯილდოვება.—**კოოპერატორისა.** 9. ეროვნული უძღურება და მისი სამი სახე.—**შალვა ჯ—ძისა.** 10. ნარევი. ჩვენი ფოსტა.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

სხვა და სხვა მიზეზების გამო, რედაქცია იძულებულია შეაჩეროს გამოცემა ჟურნალისა ენკენისთვეიდის დაკლებულ ნომრების ანგიერ, ხელის მომწერთ დაურიგდებათ როგორც შარშან ბრეშია.

თბილისი 29 ივნისი

დღევანდელ ჩვენს ნომერში დ. ვაჩნაძე უბრუნდება ხელახლად იმ ფრიად საყურადღებო საკითხს, რომელიც აღძრა ჩვენმა ჟურნალმა ჯერ კიდევ შარშან—სარწყავსა და სასმელი წყლის საჭიროებას ჩვენი სოფლებისათვის. შარშან პრესაც და სპეციალური დაწესებულებანიც, რომელთაც პირდაპირ შეეხებოდა ეს საკითხი—ცოტა არ იყოს, უგულოდ შეხვდნენ ჩვენ მიერ წამოყენებულ საფრთხეს, რომ საშინელ მომავალს გვიქადის უწყალოობა; ნამეტნავად იმის შემდეგ, რაც მთავრობამ განიზრახა მულანის ველისათვის დაშრეტა მტკვრის მთელი რაიონისა, ე. ი. მტკვრისა და მისი შერთული წყლებისა. მართალია, ქ. ს.-სამეურნეო საზოგადოებამ და ზოგმა კერძო ინიციატორმა დაგზავნა კაცები, ინჟინრები ადგილების და მათი წყლების გამოსაკვლევად, მაგრამ ჯერჯერობით პრაქტიკულად არც ერთი საქმე არ დაწყებულა, თუმცა ჯერ შარშანვე უთითებდნენ ისეთ აუცილებლად დასაწყობ საქმეებზედ, როგორიც არის მაგ. დიდმის მინდორის მორწყვა მტკვრიდან, ან მისაქციელისა—არაგვიდან.

წრეულს ამ საშინელ საფრთხეზედ კიდევ იყო მიქცეული ყურადღება პრესისა, მაგრამ როდესაც არა სჩანს თუ ქართველ საზოგადოების გულში როგორი ცეცხლის ასოები ამოიჭრა უწყალოობის საფრთხე.

ჩვენის ღრმა რწმენით, ის ქვეყანა, რომლის ბედი სოფლის მეურნეობაზედ იყო, არის და ყოველთვის იქნება დამყარებული; რომლის საწარმოო ძალები, ვაჭრობა-მრეწველობა და სხ. განსაკუთრებით უხვ საზრდოს იპოვნიან იმავე მიწაში, რომელიცა ზრდის უკიდურეს ჩრდილოეთის და სამხრეთის შუა აღმომცენ ყველა მცენარეს; რომელიც უხვადა ჰკვებავს ყოველგვარ მატყლეულობის, რძის, ყველის და კარაქის მომცემ საქონელს; სადაც უხვად იფურჩქნება მცირედი ხელის შეწყობით, აბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, ფრინველის მოშენება და სხვა და სხ.—ის ქვეყანა, ვამბობთ, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას წყლისადმი.

მართალია, ყველა ჩამოთვლილ დარგის ასაყვავებლად ერთგვარადაა საჭირო წყალი, მიწა, ჰაერი და მზეც. მაგრამ უკანასკნელნი თავისით ყველგან არიან, წყალი კი ის განსაკუთრებული ელემენტია, რომელიც კაცმა უნდა მოიყვანოს იქ, საცა ბუნება თანაბრად არ ანაწილებს.

ხალხში პროპაგანდით, კერძო მემამულეთა, საზოგადოებათა და დაწესებულებათა შეთანხმებით, აუცილებლად უნდა შეიქმნეს ის ზნეობრივი ძალა,

რომელიც დასძლევდეს ყველა დაბრკოლებას და აღადგენდეს იმ ძველ ქართულ უფლებას, რომლის ძალითაც „წყლისათვის ეკლესიასაც კი გასჭრიანო“. თუ ჩვენს წინაპრებს, რომელთათვისაც ეკლესია უმაღლესი ზნეობრივი ტაძარი იყო, ასე კარგად ესმოდათ წყლის მნიშვნელობა, თუ მათგან თითქმის ყველა მდინარეების ხეობანი (ალაზნის, არაგვის, ლიახვის, თემძის და სხ.) დასერილი იყო არხებით, რომელთაც დღესაც ეტყობათ გიდრავლიკის ყველა კანონთა ცოდნა,—უფრორე დღესაც უნდა გვესმოდეს ის აუცილებელი საჭიროება რომელსაც წარმოადგენენ არხები და სარწყავი წყლები.

უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში თითქო შეიგნეს სასმელი წყლის საჭიროება და ხშირად გვესმის ხოლმე: ამა და ამ სოფელმა გაიყვანაო, მაგრამ სარწყავი წყლების ბედი ჯერ შეჩერებულია ერთ ალაგას. დრო კი არის, მეტად საჩქაროა შეუდგეთ ამ საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას, რადგან საყოველთაო გეგმის შესამუშავებლად უკვე დროს არ გვიტოვებენ. ამ საკითხში მაინც ნუ მოვიქცევით ისე, როგორც ქართველებს გვჩვევია: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო; მით უფრო, რომ დღევანდელი ურემი ისეა გადაღრეცილი, რომ გადაბრუნებამდე ბევრი აღარა უკლიარა.

პასუხი გაზ. „იმერეთს“

როდესაც წარსულ ნომერში ვსწერდით „ქართველ ალარმისტებზედ“, ჩვენ მოველოდით ჩვენი თანამოაზრე „იმერეთის“ პასუხს, მაგრამ „მონასტრის არევამდე“ საქმის მიყვანა ჩვენ არ გვიკისრია.

ჩვენ გარკვევით ვადექით იმ აზრს, რომ „ყველა ნეიტრალური დაწესებულება მოვალეა კარი გაუღოს ხალხის უმრავლესობას და **რადგან ამჟამად საზოგადოებრივი აზრი სხვა და სხვა მიმართულებათა ხელშია, ყველა მიმართულებას უნდა ჰქონდეს თავისი ხმა საერთო, ნეიტრალურ ნიადაგზედ**“.

ამ მთავარი დებულების დამტკიცებისათვის იყო საჭირო მოყვანა ჩვენი სხვა მოსაზრებისაც, რომ ისეთი ნეიტრალური ასპარეზი, როგორიც არის ქ. შ. წ.-კ. გ. ს., როგორც სამართლიანად შენიშნავს გაზ. „იმერეთი“,—„პოლიტიკური ბრძოლის მოედნად“ არ გადაიქცეს. ჩვენ არ გვითქვამს, რომ ს.-დემოკრატები არიან ერთად-ერთი მესვეურნი და წარმომადგენელნი ჭეშმარიტ დემოკრატიისა და მათ უნდა ჩაუგდოთ ხელში ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ **შეუძლებლად და მავნებლად** მიგვაჩნია ისეთი საერთო ეროვნულ-კულტურული საქმის,—როგორიც არის ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება—რომელიმე განსაკუთრებული მიმართულების ხელში ჩაგდება, ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ **ყველა** მიმართულებას უნდა ჰქონდეს ადგილი ამ დაწესებულებაში.

ამას უფრო ბეჯითად ვიტყვით ეხლა, გაზ. „იმერეთის“ (№ 87) გამოსვლის შემდეგ, საცა იგი ამბობს: „პირიქით, ჩვენ თუ ბლოკი უნდა შევკრათ, ისევ „სანფარებთან“, რადგან ეროვნულ ავტონომიას აღიარებენ“. ამ **პოლიტიკური** მოსაზრებით არასოდეს არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ **კულტურულ** დაწესებულებაში, თუ არა გვსურს გავყინოთ ყოველი საქმე ისეთ „მკვდარ წერტილზედ“, რომელზედაც გაყინულია დღეს ბევრი ჩვენი კულტურული დაწესებულება. საერთო ეროვნულ საქმეებში—პარტიულ და პოლიტიკურ მოსაზრებათა შეტანა—დიდ შეცდომად მიგვაჩნია ყველას, ნამეტნავად უკიჟინებთ ამას სოციალ-დემოკრატიას და ახლა ჩვენვე შეეწყოთ ამას ხელი—ეს ვერაფერი გონიერება იქნებოდა ჩვენის მხრით. რაც შეეხება იმ შიშს, რომ დასელები რასაც ჩაიგდებენ ხელში, იქ აღარავის დააყენებენო—ეს ჩვენ არ გვაშინებს: ჯერ ერთი ისინიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოების არსებობაში და მაშასადამე თვითონ ძირს არ გამოუთხრიან წინდაუხედავი საქციელებით და მეორეც, საკითხი სწორედ იმაშია, რომ ერთს მიმართულებას არ უნდა ჰქონდეს ჩავარდნილი ხელში ეს დაწესებულება.

ჩვენ არ გვაშინებს არც ის მოსაზრება, ვითომ დასელების შერევა რომელიმე ეროვნულ საქმეში, სიმპატიას დაუკარგავს საშუალო, ან მდიდარ წრეებისას. სიმპატია ყველა წრეებისა დამოკიდებულია საზოგადოების მოქმედება-უნარიანობასა და მის საჭიროებაზედ და თუ დასელები **ნამდვილ მუშაკების სახით შეეწევიან** საზოგადოებას ისევე, როგორც ყველა სხვანი ვართ მოვალენი, და არა მარტო პარტიულ ჟინის და ენის ქავილის მოტრფიალეებით,—სიმპატია მთელი ერისა მარტო გაიზრდება და გაღონიერდება. ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ საქველ-მოქმედო სიმპატიასთან, შესაძლებე-

ლია, საქმიანი სიმპატიაც მოემატოს და უკანასკნელი წლების ულლურება გადალახული იქმნეს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ გაზ. „იმერეთი“ ამასთანავე უარჰყოფს თავის მოსაზრებას: „ჯერ განაკიონალისტდნენ და მერე გაუღებთ მათ ხსენებულ დაწესებულებათა კარებს“. ასეთმა ბიუროკრატიულმა ფორმულამ: „ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმებიო“, შეიძლება სწორედ იმ დროს შეგვასწროს, რომელსაც ესწრობა ბიუროკრატია: კარების ჩაშოგლეჯას. მაშინ როდესაც, ჩვენის აზრით, სწორედ ასეთი კარების ჩაკეტვა ჰქმნის იმ გაუვალ კედელს, რომელიც შენდება ეროვნულ დემოკრატიასა და ს.-დემოკრატიას შორის.

როცა ს.-დემოკრატია არ ტრიალებს ეროვნულ საქმეების ფარგლებში, ის ვერ იძენს ვერც სიყვარულს, ვერც ცოდნას ამ საქმეებისა და საკითხებისას, იგი ვერ ეცნობა ათასგვარ საკულტურო ჭირ-ვარამს და მაშასადამე, როგორც ფრინველი ვერ ისწავლის ფრენას, თუ არ ფრენით, ისინიც ვერ ისწავლიან ეროვნულ შემეცნებათა გაზიარებას, თუ არ ეროვნულ საქმეში ტრიალით. და რომ დასელები ეროვნულად უკვე უბრუნდებიან თავის პირვანდელ ფორმულებს, რომელსაც ადგენენ ს.-დ. II ყრილობამდე — ამის საბუთები მრავალია იმისათვის, ვინც თვალყურს ადევნებს უკანასკნელ დროის აზრთა ევოლიუციას. ჩვენ გვჯერა, რომ გაზ. „იმერეთი“, როგორც ჩვენი თანამოზიარე, გულისყურით ასწონ-დასწონის ამ ტაქტიურ მოსაზრებათ და პრინციპიალურ განხეთქილების საგნად არ გახდის უბრალო საკითხს.

რ. გ.

ᲡᲠᲔᲡᲐ

„სახალხო ფურცელი“ (№ 21) უსაყვედურებს „შრომას“, რა ჩემზედ მოიცალეო:

რომ გამოაწვია ასეთი ინტერესი გაზეთისა ფედერალისტებისადმი? ეველაზე უწინარეს ალბად იმან, რომ სხვისი გაკრიტიკება და ამით ერთნაირის „ბრძნობის“ სახელის მოხვეჭა მეტად ადვილი საქმეა. სხვა სხვის ომში ბრძენია, ხალხური ანდაზაა. რომ საკუთარი ძალა და შემოქმედება დაამტკიცო, დირსება გამოიჩინო, ამისათვის ნიჭიცაა საჭირო, ცოდნა, შრომის უნარი, მუყაითობა, საქმიანობა და ეს ხომ ეველას არ შესწევს. სამაგიეროდ სხვისი მხილება სხვისი ბუჩად აგდება, სხვისა დაშტარება, უკადრისად ხსენება — ეველას შეუძლიან, ამის ნიჭი ეველას შესწევს, ამას ეველა მოახერხებს, თუ ერთი ორი გულუბრუვიდო იშოვნა ეურის დამგდები, ანდა კალამი და ქადალდი თუ ჩაიგდო ხელში.

. . . . . .

საკვირველია ის უტიფრობა, რომელიც სწვევია ზოგიერთ ჩვენებურ ინტელიგენტს: წაიკითხავს ორიოდე წიგნს, მოიკრავს შუბლზე სხვის იარლიკს და ეველას უვიცს და უცოდინარს უწოდებს, თავისი თავი კი მეცნიერ — ფილოსოფოსად მიაჩნია! იმიტომ, რომ ესეც ადვილია საქმეა.

ეს საყვედური, ასეთი სწორი და მწყობრი უთუოდ იმიტომ მოუვიდა „სახალხო ფურცელს“, რომ თვით მაზედაა ზედ გამოპრილი. იმ განსხვავებით, რომ „შრომა“ გუშინდელი ღლაპია და „სახალხო ფურცელი“ მთელი წლობის განმავლობაში მარტოოდენ სოციალ-დემოკრატიის და დასელების გაკრიტიკებაში იჩენს თავის „ნიჭსა“. განსხვავება იქნებ ისიც იყოს, რომ ეხლანდელი მისი ხელმძღვანელები „ორიოდე წიგნის წაკითხვასაც“ აღარ კადრულობენ, რადგან „თავისი თავი მეცნიერ-ფილოსოფოსად“ და მეცნიერულ სოციალიზმის ავგაროზებად მიაჩნიათ.

— —

„თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილია სიტყვა, რომლითაც, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, თავ. ნ. დ. ერისთავმა, ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა გახსნა:

ბატონებო, ამ 64 წლის წინად ნეტარხსენებულმა გიორგი ერისთავმა პირველად მოაწყო ქართული წარმოდგენა, ამ 34 წლის წინად მისმა შვილმა, ნიჭიერმა დრამატურგმა დავით ერისთავმა პირველმა მიიღო მონაწილეობა ქართ. დრამატ. საზოგადოების დაარსებაში, და, აი, დღეს, მე, მათ თანამოგვარეს, ბედმა მარგუნა საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ კრების გახსნა...

ფრიად ორიგინალურია მართლაც ის მოვლენა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, რომ პირველი ქართული წარმოდგენა მოაწყო თავ. გ. ერისთავმა, დრამატიულ საზოგადოების დაარსებაში პირველი მონაწილეობა მიიღო დ. ერისთავმა და ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობაც თავად ნ. ერისთავმა გახსნა.

ჩვენ მუხლს ვიდრეკთ გიორგი და დავით ერისთავების წინაშე, რომელთაც შეჰქმნეს ქართული თეატრი, მაგრამ, ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ, ჩვენ ვერ გაგვიგია ბედის ხუმრობა, რომელმაც ქართული სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის გახსნა ისეთ თავად ერისთავს არგუნა, რომელსაც არავითარი დამსახურება არ მიუძღვის ქართული საზოგადოების და, ნამეტნავად, ქართული თეატრის წინაშე.

თავადი ნ. დ. ერისთავი მორცხვადა ბრძანებს, ყრილობის გახსნა ,,ბედმა მარგუნაო'' მაგრამ გვაგონდება რა წარსული არჩევნები გამგეობისა, ჩვენ ვიცით რა ხასიათისა იყო ეს ,,ბედი''. ეს ,,ბედი'' ის თავ. ნ. დ. ერისთავი იყო, რომელიც ᲯᲐᲠᲐᲡᲐᲕᲘᲗ დატრიალდა, რომ გამგეობის წევრობა რგებოდა და ვალ. გუნიასა და ფედერალისტურ სიის წყალობით ერგო კიდეც. ჩვენ არც ის დამსახურება ვიცით თავ. ნ. ერისთავისა, რომლის გულისთვისაც გამგეობის კოლლეგიამ იგი თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია. დანარჩენი კარიერა თავისთავად მოხდა. გამგეობის თავმჯდომარე თავ. პ. თუმანიშვილი თბილისიდან წავიდა და მისი ადგილი თავ. ნ. ერისთავმა დაიჭირა. აი, ამ ,,ბედმა'' არგუნა თავ. ნ. ერისთავს ის საპატიო როლი, რომ ,,ყოფილმა პრისტავმა'' გახსნა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობა.

ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ, რომ თავ. ნ. ერისთავი ბედის კაცია! ასეთი კარიერა შჩედრინის პოლიცმეისტერსაც არ მოსიზმრებია!...

ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

არ დამშვიდებულა ქართული საზოგადოება ჯერ იმ შინაგან კრიზისისაგან, რომელსაც განიცდის თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია, რომ გაზეთებმა მოგვიტანეს საშინელი ამბები ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის აკლებისა.

სამოსწავლო ოლქისაგან გამოგზავნილი ნერვებ-აშლილი დეპუტატი კორიცკი ახდილად უცხადებს უნდობლობას მთელი გიმნაზიის საადმინისტრაციო ᲡᲐᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲝ გამგეობას, უდიერად ექცევა არა მარტო მას და შეგირდებს, არამედ კანონებსაც და როცა უკიდურესობამდე მიყვანილი სკოლა აცხადებს პროტესტს ასეთ საქციელზედ,—დასჯილნი ისევ ისინი არიან, ვინც თავის თავზედ გამოსცადა ბ-ნ კორიცკის მოქმედება. უსამართლობა ამაზედ შორს სადღა წავა? სამოსწავლო უწყება, როგორც ყველა სხვა, გადაქცეულა თითქო ზედა და ქვედა ჩინოვნიკების ერთმანეთისადმი ბატონობა ქვემდებარეობად, მასში არ არის გამეფებული საღი მოსიყვარულე პედაგოგიკის პრინციპი და ბ-ნი კორიცკი მარტო უკიდურესი გამომხატველია ამ სისტემისა, რომელიც გადატანილ იქმნა კერძო გიმნაზიაზედაც. იგი სიყვარულით და მეგობრულად კი არ მივიდა სასწავლებელში, არამედ მტრულად, როგორც „ნაჩალნიკი" თავის მოხელეებთან და შეურაცხჰყო იგი, თავისი **უნდობლობით**. რასაკვირველია, უნდობლობა დაბალ მოხელეებისადმი მაღალისაგან—ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, მაგრამ, როდესაც იგი ვრცელდება საზოგადო დაწესებულებაზედაც და ისეთს უხეშ ფორმებსაც იღებს, როგორც იგი გამოხატა ბ-ნმა კორიცკიმ,—იგი აუტანელი ხდება. ვერ აიტანა იგი გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომაც და ამისათვის დასაჯეს და დასაჯეს ორგვარად: დაითხოვეს დირექტორი და ინსპექტორი და ეგზამენების თამჯდომარედ დანიშნეს ისევ... ბ-ნი კორიცკი; ის კორიცკი, რომელიც მიზეზი შეიქმნა იმ აუტანელ მდგომარეობისა, რაც ქუთაისის გიმნაზიას დაატყდა თავსა. ჩვენ გვესმის კიდევ, როცა ამბობენ «კორიცკი იქნება უდიერად მოიქცა, უკანონოდაც, მაგრამ ამაზედ ჩივილი იყო საჭირო და არა პირდაპირ პასუხის გაცემაო» და ამით თითქო ამართლებენ (?) კიდეც ოცხელის და ხუნდაძის დათხოვნას, მაგრამ ჩვენ არ გვესმის პრესტიჟის ისეთი დაცვა, რომ თვით შეურაცხმყოფელი არამცთუ არ გადააყენეს, პირიქით იგივე დანიშნეს თავმჯდომარედ. ეს უკვე დაცინვაა, შელახვაა თავმოყვარეობისა და უარესად გამწვავება, ისედაც ამაღელვებელ მდგომარეობისა. დაშოშმინების და სიყვარულით სიმშვიდის შეტანის მაგიერ, სამოსწავლო ოლქს შეაქვს ნერვიული აღტყინება სასკოლო საქმეში—ეს უკვე გადაცილებაა არა მარტო პედაგოგიკის, არამედ ზნეობის საზღვრებისაც და პასუხს ვინ აგებს ამისას არავინ იცის, რადგან, ეტყობა, ბ-ნი კორიცკი—პასუხისგების გარეშე რჩება.

ყველა ეს არა სასურველი ამბავი ხდება იმ შეგირდების თვალწინ, რომელთაც დანაშაული არაფერში მიუძღვით და უბრალოდ იტანჯებიან; ისჯებიან, ყოველ შემთხვევაში სხვისა დანაშაულისათვის და არ არის ხმის ამამაღლებელი მოწაფეთა დასამშვიდებლად, მათი ყმაწვილური ფსიხიკის დონე-

ზედ დასაყვანად, რომ უბედურება მაინც არა დატრიალდეს რა. მერე, მერელა შეიქმნება საჭირო თითზე კბენანი და გვიანლა იქნება.

ი. ა—შვილი.

წყალი, წყალი...

სოფლის დღევანდელ მეურნეობის წინსვლა და გაფურჩქვნა აუცილებლად დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა რიგად უზრუნველყოფილია მამული სარწყავი წყლითა. რასაკვირველია, ზოგს ამ ბანალურ ფრაზის წაკითხვის შემდეგ გაეცინება და იფიქრებს კიდეც: ნეტა ვის არ ეცოდინება ეს უბრალო ჭეშმარიტებაო? მაგრამ არის იმისთანა კუთხეები, სადაც ეს წარმოდგენილი არა აქვთ. მაგალითად რუსეთის უმრავლეს გუბერნიებში, ხალხმა ერობათა მეოხებით მარტო ეხლა შეიგნო, რომ ხელოვნურად მორწყვა მამულისა საჭიროა და აუცილებელი, რომ მან უკან, უკან არ დაიწიოს თავისი მოსავალით. 1904 წელს პენზის გუბერნიაში მოვიდნენ ერობის ინჟინერები და აგრონომები წყლის საკითხის გამოსარკვევად და სარწყავ არხების დასაჭრელად. ხალხმა სასაცილოდ აიგდო ისინი და... ანტიქრისტებად მონათლა. „როგორ თუ, ღმერთი არ იძლევა წყალსა და თქვენ უნდა მოგვცეთო!. ამბობდა რუსი გლეხ-კაცობა.

მართალია, ქართველი ხალხი ისე ჩამორჩენილი არ არის ამ საკითხში და არც ისე გულუბრყვილოა, როგორც მისი ჩრდილოეთის მეზობლები. პირიქით მეტად კარგათაც არის გაცნობილი და გამოცდილი სარწყავ არხებით თავის დედულ-მამულის დასერვის სიკეთეში. ამას მოწმობს შორეული წარსულიც საქართველოსი, როდესაც ამ 700 წლის წინად, თამარ-მეფის დროს, ვეებერთელა სარწყავ არხებით იყო გაჭრილი ქართლი და კახეთი. მაგრამ ჩვენდა საამაყოდ ეს იყო წინად... ჩვენდა საუბედუროდ, როგორც საზოგადოთ ბევრი რამ ძველი და კეთილი, დღეს ეს არხები მიწითაა წაყრილი და მასთან ერთად სამარის მიწა მივაყარეთ ჩვენს სოფლის მეურნეობის წინსვლასაც. აბა შეიხედეთ დღევანდელ ქართულ სოფელში. ყველგან ერთს ამბავს გაიგებთ:

— წყალი გვაკლია, მოსავალი გვიხმება, მამული უწყლოობით უქმად გვიგდია. ღმერთი გაგვიწყრა და ასე ვიხოცებით.

„ხალხო! რას უზიხართ გულხელ დაკრეფილი —წყრომით ვეუბნებოდი შეკრეფილ გლეხ-კაცობას ერთს სოფელში — აგე სამ ვერსზედ რამოდენა წყალი მოგიდით, გამოიყვანეთ არხები და მიაშველეთ თქვენს მამულებს.“

„რასა ბრძანებთ, ეგ რომ შეგვეძლოს ხომ ამ დამპალ წყალს არ დავლევდით. სასმელი წყალიც კი არ გვივარგა და ვერ გამოგვიყვანია, სარწყავზედ ვიღა ჩივის. ამას მოხერხება უნდა, ბატონო, ფული, კაი ხელმძღვანელი და მაშინ საქმე გაკეთდება. ჩვენ კი საწყალი ხალხი, უცოდინარნი და უხერხონი, ღვთის ანაბარად გახლავართ“... მოსთქვამდნენ გლეხ-კაცები.

ეს მაგალითიც საკმაოა, რომ წარმოდგენილი გვქონდეს რის გამო ვართ ჩამორჩენილნი დღეს ამ საყურადღებო დარგს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხის მეურნეობისათვის.

უხერხობა, უცოდინარობა, უხელმძღვანელობა.

მართალია, ამ პასუხსაც შეჩვეულნი ვართ საზოგადოთ. სადაც კი მიიხედავთ ყველგან წააწყდებით ქართულ უცოდინარობას, უხერხობას, უილაჯობას. მაგრამ როდესმე ხომ უნდა გავიღვიძოთ? როდესმე უნდა გავიცნოთ, შევისწავლოთ და შევიგნოთ ჩვენი საბედო საქმიანობა! კიდევ ათი წელიწადი ამნაირ ჩვენი ილაჯგაწყვეტილობისა და ინდიფერენტობისა და მორჩა ჩვენი საქმე... დაიღუპა ქვეყანა.

საქართველო სავსეა მდინარეებით, წყაროებით და იწვის კი „უწყლოობით“!.. ამიერ-კავკასიაში ჩვენს გარდა ყველა მუშაობს და მეცადინეობს, რაც შეიძლება მეტი წყალი გაიყვანოს თავისაკენ და ამით ჩვენი წყლებით თავისი საქმეებიც გამოაკეთოს; ჩვენ კი ამ სეირს შორიდან ვუყურებთ და ვწუწუნებთ.

ხვალ მუღანის უდაბნოს „მოღვაწენი“ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებს სრულიად შეჭკრავენ (კანონის ძალით) და ერთს წვეთსაც აღარ დაგვითმობენ, ჩვენ კი ცხარე მოქმედების მაგივრად ვსხედვართ და... ვწუწუნებთ.

მაგალითად დარწმუნებული ვარ ქართველობის უმრავლესობას არც კი გაუგონია რომ ამ წლის ქრისტიშობისთვის 7-ში ამ მნიშვნელოვან საკითხის გამო „კავკასიის სამელიორაციო კრება“ იკრიფება, რომელსაც მიზნადა აქვს ამიერ-კავკასიის წყლებს

მოუაროს და ახალი გზები გაუკაფოს საირრიგაციო საქმეს.

უმეტესი ნაწილი ამიერ-კავკასიის წყლებისა საქართველოს ეკუთვნის... მაშასადამე უმთავრესად ქართველებმა უნდა იზრუნონ თავის კუთვნილებაზედ. ამისათვის კი საჭიროა ეხლავე სერიოზული და ბეჯითი მომზადება, რომ ამ კრებიდან მართლაც რაიმე სარგებლობა ვნახოთ და ჩვენი ქვეყნის მეურნეთა წრეებს მივეშველოთ.

არც ისე ღარიბნი ვართ სპეციალისტ მცოდნეებით, რომ გვარიანად ვერ წარვუდგეთ ამ კრებას და საბუთიანად არ დავუმტკიცოთ, რომ მთავრობა მოვალეა მიეშველოს თავისი ხარჯით და ტეხნიკური ძალებით ჯერ იმ პროვინციებს, რომლის მეურნეობას წყალი ეკუთვნის. და მასთან წარვუდგეთ შესაფერისი სტატისტიკური მასალებით რომ საქართველოს სჭირია აუცილებლად სარწყავი წყალი. ჩვენი დაწესებულებანიც — სამეურნეო საზოგადოება და საადგილ-მამულო კომისია ეხლავე უნდა შეუდგნენ ამ სტატისტიკურ მასალების შეკრებას. ეს მით უფრო ადვილია, რომ „საქართველოს კრების“ ბიურომ თავის ბიულეტენში, № 5, გამოაქვეყნა საანკეტო კითხვები, რომელზედაც სწორი პასუხის გაცემა მდიდარ მასალას მიაწოდებს ქართველ მომხსენებელს. თბილისის თავადაზრაურობის წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზიც დიდ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში (როგორც ინიციატორი ხსენებულ კრების მოწვევისა და კომიტეტის წევრი) და დაუგზავნა ჩვენს პროვინციის დაწესებულებათ და მოღვაწეებს მოწოდებანი, სადაც მოითხოვს რომ ყველა შეგნებული ქართველი ყურადღებით მოეკიდოს ამ საქმეს (სწორი პასუხი გასცეს საანკეტო კითხვებზედ. ერთი სიტყვით, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მასალის შეკრება დღევანდელ საქართველოს საირრიგაციო საქმის მდგომარეობის გამოსარკვეად. აქედან ნამდვილად გავიგებთ სად რა წყალი გვაკლია, რამდენი, რაგვარი მიშველებაა საჭირო და სხვა და სხვა.

იმედია, ყველა ვინც დაინტერებულია ჩვენი სოფლის მეურნეობით და ეკონომიკით, მიეშველება თბილისელ მოღვაწეებს ამ ცნობებით. მომავალ „კავკასიის სამელიორაციო კრებაზედ“ ბევრი რამ შეგვიძლიან გამოვაკეთოთ და დაკარგული დავიბრუნოთ. თუ რასაკვირველია ძველმა სენმა არ დაგვძლია — უხეირობამ. მაგრამ, ვფიქრობ რომ ამ უკანასკნელი ათი წლის დეხჭირმა პირობებმა ჩვენი ცხოვრების გარშემო, დასძლიეს ეს სენი და ხეირიანი გზაც გვიჩვენეს... გზა რეალურ და უნარიან მოქმედებისა. დღეს ჩვენი უნარი უნდა გამოვიჩინოთ საქართველოს სამელიორაციო საქმის მოგვარებაში.

დღეს ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს:

სარწყავი და სასმელი წყალი ქართულ სოფელს!

დ. ვაჩნაძე.

საზოგადოებანი ჩვენში

ისე წელიწადი არ გავა, რომ „თემის“ რედაქციამ აპილპილებული სურვილი არ გამოსთქვას, რომელიმე ახალი საზოგადოების დაარსებისა, სრულიად საქართველოს დასაცავად უბედურებისაგან და მის ასაყვავებლად მომავალში. ხან „ტურისტთა საზოგადოება“, ხან „გამომგონთა და მეცნიერთა დამხმარე საზოგადოება“, ხან რა, ხან რა, აი დღეს ვინმე „პლატონ გ“-ს პირით „თემი“ საჭიროდა სცნობს „ქ. შ. კულტურის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაარსდეს, რომლისთვისაც პროგრამაც კი შეუმუშავებიათ თითქმის. ასეთი შეპილპილებული სურვილები, რასაკვირველია ყურადღების ღირსნიც არ იქნებოდნენ, რომ **საზოგადო** სენს არ წარმოადგენდეს ქართველებისას — ათასნაირ საზოგადოების შექმნა და... დამარხვა. რა კარგია, როცა კაცი თავისთვის ოთახში ზის, მოაგონდება ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი გაჭირება და... მაშინვე ისეთ „საზოგადოებას“ გამოაცხობს, რომელიც ან რომელიმე ერთ-ორ მხარეს გამოასწორებს ჩვენსას, ან პანაცეიად გახდება ყველა ჭირისაგანა. სურვილები ბევრია, ნაკოფი კი ცოტა. და ვერც კი ვამჩნევთ იმას, რონ ერთის მხრით ყველა ეს სურვილები საპნის ბუშტებივითა ჰჭრებიან და მეორე მხრით ის არსებული საზოგადოებანიც, რომელნიცა გვაქვს — უქ? წერტილზედ იყინებიან, უსახსრობისა და უკაცურობის გამო.

ავილოთ თუნდ ისეთი პოპულიარული საზოგადოება, როგორიც არის წ. კ. გამავრც. საზოგადოება, რომელსაც საყოველთაო სიმპატია აქვს მოპოებული, რომელიც 35 წელიწადია არსებობს და რომელის მოღვაწეობა მარტო უნდილ სკოლების და მაზედ უფრო ენდილ ბიბლიოთეკების გახსნაში გამოიხატება, უგემურად მომქმედ გამგეობისაგან.

ბრალი კი—უსახსრობაა, უკაცურობაა. ერთი და იგივე გამგე—ცხრა საზოგადოების და საქმის მწარმოებელია. ავიღოთ „სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება“ —პირდაპირ სასაცილოა მისი მოქმედება: მიიღებს თავად-აზნაურობისაგან 800 მან. და გამოსცემს გრდემლს“—ეს არის და ესა. ამისათვის კი საზოგადოება საჭირო არ არის: ამისათვის ერთი კაციც სრულიად საკმარისია. ესეც იმიტომ ხდება, რომ მისი გამგენიც ცხრა სხვა და სხვა საზოგადოების გამგენი და წევრები არიან და დრო არა ჰყოფნით, ხალისი აღარა აქვთ მოქმედებისა. ავიღოთ „ქართულ კულტურის მოღვაწეთა საზოგადოება“ თითქო რაღაცა ფხა გამოიჩინა, ერთიორი რაღაც მოხსხნება და საღამოც გამართა და... მიიძინა, რადგან... სახსარი არა აქვს, კაცი არა ჰყავს...

არსებულ საზოგადოებათა რიგს რომ მივყვეთ ათი ფურცელი არ გვეყოფოდა და თუ ჩამოვთვლით პროექტებს, რომელიც ცხვება მალ-მალე, თბილისსა, პროვინციასა და ქუთაისში, ან რუსეთსა და საზღვარ-გარედ ჩვენი ახალგაზრდობისაგან —ასიც არ იქნება სამყოფი.

რით აიხსნება ყველა ესა? ჯერ ერთი იმ თვალსაჩინო ნაკლით, რომლის წყალობით ყველა ქართველს უცება სურს ქვეყნის აშენება და წვრიმალ, ყოველდღიურ საქმეს გაურბის, როგორც ჭირს, რადგან უკანასკნელს გამუდმებული **შრომა და ჯაფა** სჭირია. თორემ განა არ ვიცით, რომ ყოველ ახალ საზოგადოებაში, ისევე როგორც ყველა უკვე არსებულში ისევ იმავე, სულ ერთსა და იმავე პირებს შევხვდებით?! რად ვიტყუებთ თავს, რომ ახალ საზოგადოებაში, ახალ ძალებს შეეძენთ, ახალის ენერგიით შევიმოსებით. და თუ ძველ პირებს, ერთ წუთს ვიფიქროთ, შეუძლიანთ რისამე გაკეთება საზოგადოთ, დეე, ეს ენერგია უკვე არსებულ საზოგადოებას მოხმარდეს.

მეორე მხრით, ყველა წევრი ქართველი საზოგადოებისა თავის დანიშნულებას **ინიციატორობაში** ხედავს—მას არასოდეს არ უნდა და ვერ ეგუება უბრალო, „შავს“ საქმეს. ყველას პირველობა სურს და ეს განსაკუთრებული თვისებაა ჩვენის ინტელიგენციისა, რადგან იგი მთლად თავად-აზნაურულია; ქართველი თავად-აზნაურობა კი ისტორიულადაც მარტო წინამძღოლის როლს თამაშობდა. ამით აიხსნება რომ ძალიან ხშირად, მეტად ხშირად ჩვენი საზოგადოებანი, პარტიები და სხ. უჯარო ღენერლებად გადაიქცევიან ხოლმე, ხალხი არ მისდევთ მათ. ისტორიულად თუ ისინი კარგი სარდლები იყვნენ—იმიტომ რომ **ომიანობა იყო** და **ხალხიც** დაინტერესებული იყო, ჩათრეული მტრის მოგერებაში, დღეს კი ჩვენს თავად-აზნაურულს საზოგადოებას ვერ მიუგვნია ჯერა იმ გზისათვის, რომელზედაც მოსჩანდეს რაიმე მიმზიდველი, **ნამდვილ ხალხის მასისათვის**. თეატრის ყრილობანი, სოციალისტური მოძღვრება, უთვალავი საზოგადოებანი—ყველა ეს უცნობი ხილია მისთვის და საზოგადოების წარმომადგენელნი მარტო ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს—ხალხის გულამდის იგი ვერ აღწევს. ამიტომ ჩვენ პრინციპიალურად ეარვყოფთ ისეთი ახალი საზოგადოების დაარსებას, რომლის მიზანი და ფუნქციები შესაძლებელია იურიდიულადაც (ე. ი. წესდების მიხედვით) და ფაქტიურადაც განაწილებულნი იყვნენ უკვე არსებულ საზოგადოებათა შორის. „ქ. კულტურის გამავრცელებელი საზოგადოება“ სრულებით უტკივილოდ შეიძლებს, თუ კი მართლა მას ეყოლებიან წევრები, **მომუშავე და არა მარტო მოლაქლაქე**—გაანაწილოს თავისი მოქმედება ორ უკვე არსებულ საზოგადოების შორის: „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელისა“ და „ქართულ კულტ. მოყვარულთა საზოგადოებისა“. პირველს შეუძლიან იკისროს გამომცემლობაც და გავრცელებაც წიგნებისა, მეორეს—დანარჩენ მიზნების განხორციელება.

თუ ახალ საზოგადოებათა ინიციატორები მართლა მოწადინებულნი არიან საქმის გაკეთებას და ქვეყნის შველას—ყოველთვის უმჯობესია თვით ახალ საზოგადოების დაარსებისათვის საჭირო ენერგია—უკვე არსებულებში გამოიჩინონ და მათს ღონღიალით სვლას ახალი სული ჩაჰბერონ.

*
* *

რას ამბობენ ციფირები

ქ. თბილისის ხმოსანმა ი. სულაბერიძემ ქალაქის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზედ ფრიად საინტერესო ციფირები გამოაქვეყნა.

ეს ციფირები მეტად ბევრს გვეუბნებიან, რომ უყურადღებოდ შეიძლებოდეს მათი დატოვება. პირიქით, საჭიროა ეს ციფირები ავალაპარაკოთ, როგორც თამამად და გაბედულად აალაპარაკა ხმოსან-

მა სულაბერიძემ და ამით ფარდა ახადა ჩვენი მეზობლების „ძმურ“ პოლიტიკას.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ დღევანდელი მესვეურნი საქართველოს ისტორიულ სატახტო ქალაქ თბილისისა ძმურად არ ეექცევიან ქართველობას. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ უბრალო ტაქტიური მოსაზრებით სომხები თავის მოქმედებაში ქართველების მიმართ, ცოტათი მაინც მორიდებას და ჯენტლმენობას გამოიჩენდნენ, მეტადრე იქ, სადაც ქართველ-სომეხთა ინტერესები ერთმანეთზეა გადახლართული—ქალაქის თვითმართველობაში.

მაგრამ ცხოვრება სხვას ამბობს... და მისი გამომსახველი ციფრები და ფაქტები წინააღმდეგს გვიმტკიცებენ.

ყველას მოეხსენება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალურ ცხოვრებას მრავალი სხვა და სხვა გვარი დაწესებულებანი უძღვებიან. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ყველა ჯურის საავადმყოფო დაწესებულებათ, სადაც მრავალი მოსამსახურე პირი ირევა, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ ფრიად სერიოზულ დარგს - ქალაქის მცხოვრებთა ჰიგიენას და ჯანმრთელობას.

აშკარაა, რომ ამ დიდ საქმის სათავეში და მის მუშაკთა წრეში მცოდნე, გამოცდილი ხალხი და მოსამსახურე პირი უნდა იყოს. ე. ი. მცოდნე ექიმები, გამოცდილი ფერშლები, ფარმაცევტები, ავადმყოფების მომვლელნი.

ქართველობა ამ მუშაკთა მხრივ მეტად მდიდარია და ამიერ-კავკასიაში პირველი ადგილიც უჭირავს. საქართველოში და თვით ქ. თბილისში მრავლად მოიპოვებიან ნიჭიერი, განათლებული და გამოცდილი ექიმები, ფერშლები, ფარმაცევტები და სამედიკო დარგში სხვა მომზადებულნი პირნი. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, ქალაქის საავადმყოფოებში შესაფერისი ადგილიც დაეჭირათ. მაგრამ, როგორც ვამბობდით, სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება და ფაქტებიც წინააღმდეგსა. აი რას ამბობენ ციფრები:

თბილისში საქალაქო სამსახურში სულ 56 ექიმია—მათ შორის მარტო 6 ქართველი.

თუ რომელიმე საავადმყოფოს ავიღებთ, მაგალითად, უფრო მოზრდილ და თვალსაჩინოს, „ქალაქის საავადმყოფოს“, სადაც მოქცეულან ზუბალაშვილის, არამიანცის, სამშობიარო და გადამდებ სენის საავადმყოფონი, ეს უკულმართობა უფრო თვალში გვეცემა.

ამ საავადმყოფოებში 175 მოსამსახურე პირია:

ექიმები—20, მათ შორის ქართველი 2.

ფერშლები, ბებიები და სხვა—32; ქართვ. 1.

მომვლელნი, წვრილი მოსამსახურე პირნი 120; ქართველი 8.

ფარმაცევტი 3; ქართველი 1.

სულ 175: აქედან ქართვ. 12 კ.

ისიც უნდა დაუმატოთ, რომ წარმოიდგინეთ ზუბალაშვილის განყოფილებაში, რომელზედაც ამ ცნობილ ქართველ ფილანტროპმა 150,000 დახარჯა 34 მოსამსახურეში 1 მომვლელი („სიდელკა“) ქართველი ქალიც კი არ მოიპოვება.

თუ კი ამ დარგში, სადაც ქართველობა დახელოვნებულია, ასეთი მიკროსკოპიული პროცენტია მოსამსახურეებისა ქალაქის ერთ-ერთ თვალსაჩინო დაწესებულებაში, სხვაგან რაღა უნდა იყოს, იქ ან უფრო მცირეა ქართველების რიცხვი, ან სულ არ მოიპოვებიან.

მაშ რას ამბობენ ეს ციფრები?

ყოველ შემთხვევაში არა „მორიდებაზედ და ჯენტლმენობაზედ“ სომხებისა, არამედ თავაღებულ და დაურიდებელ ვიწრო და უტკუო შოვინიზმზედ.

ვამბობ უტკუო, რადგანაც ვფიქრობ, რომ ასეთი მოპყრობით ქართველებისადმი სომეხ შოვინისტთა ბანაკის მხრივ, ქ. თბილისის ზრდა-განვითარება და მისი ბედნიერი მომავალიც მეტად საეჭვოა.

თბილისის მუნიციპალური საკითხი, ხომ „სომეხთა საკითხი“ არ არის, რომლის გამგებლობაში ქართველობას წილი არ უდევს. მაგრამ რაც შეეხება საქართველოს დედა-ქალაქის მუნიციპალურ და სხვა მის საჭირბოროტო საკითხებს, აქ რასაკვირველია უქართველებოდ ვერაფერი სახეირო ვერ გაკეთდება.

და ამიტომაც უტკუოა ის პოლიტიკა სომეხ შოვინისტებისა, რომელიც განზრახ მეცადინეობს საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრის ცხოვრებას ქართველები ჩამოაშოროს.

სწორედ ამას ამბობენ და ამტკიცებენ ზემო მოყვანილი, ხმოსან სულამბერიძის მიერ გამოქვეყნებული, ციფრები.

კვლავინდებურად ჩავიწერთ და ჩავისახავთ ამ „ძმობის“ ნიშნებს სომხებისას, მომავალში გამოგვადგა.

ᲔᲙᲐᲚᲘ.

კოოპერატივის მუშაკთა დაჯილდოვება

უკანასკნელ დროს ჩვენში ჩქარი ტემპით იზრდება ყოველგვარი კოოპერაცია, როგორც საკრედიტო, ისე მომხმარებელი და გამსაღებელიც. ამ დარგის ორგანიზაციები, როგორც ეკონომიური ხასიათის საკულტურო დაწყებანი, მეტად განსხვავდებიან იმ, განსაკუთრებით საკულტურო დაწყებათაგან, რომელთაც ემსახურება მაგ. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოება, სკოლები, ბიბლიოთეკები, თეატრები და სხ. თუ უკანასკნელნი ითხოვენ მეტად დიდ ხარჯს და, განსაკუთრებულ ბიუჯეტის უქონლობისა გამო, იძულებულნი არიან ქველმოქმედებაზედ დაემყარნენ,—კოოპერატია თვით არის შემქმნელი მატერიალური ღირებულობისა და მისი დამყარება საქველმოქმედო ნიადაგზედ—ყოვლად შეუფერებელი მოვლენა იქნებოდა. პირველ ხანებში, როცა რომელიმე კოოპერატივი ფეხმოუმაგრებელია, როდესაც ხალხი უნდობლად უყურებს მას, ინტელიგენცია მოვალეა თავისი ცოდნით, გამოცდილებით დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მისი ყოველმხრივი მომაგრებისათვის; მაგრამ, როდესაც ოპერაციები იზრდება, როდესაც საკრედიტო საქმე ბევრჯელ იმდენად რთულდება, რომ ყოველდღიური შრომა სჭირია, როდესაც მომხმარებელ ან გამსაღებელ ამ ხანაგობას აუცილებლად უხდება გამუდმებით მოქმედება და ამით ყველა ეს დაწესებულებანი იგებენ მატერიალურად,—პირველ საზრუნველ საგნად უნდა გახდეს დაჯილდოვება იმ პირთა, რომელნიც საქმეს აწარმოებენ. ეს პირველი მცნება უნდა იყოს ყველა კოოპერატივისა, რომელსაც სურს დაინტერესოს ყველა გარშემო მდგარი და საქმე წინ წასწიოს. ყველა შრომა დაფასებული უნდა იყოს კოოპერატივში, რომ ფასის ამღები თავის თავს მოვალედ და პასუხისმგებლად გრძნობდეს. საქველმოქმედო შრომა დროულია, ნებაყოფლობითია განსაკუთრებით და ვერავის მოსთხოვთ—გინდა თუ არა იმუშავეო; და თუნდაც არ იმუშაოს, ვერც საყვედურს ეტყვით, და საქმესაც ისე არ დაუშავდება. მაგრამ როდესაც სასყიდელს აძლევთ, ადამიანი ერთი მხრით გადაბმულია საქმის წარმატების ინტერესებთან და მეორე მხრით იგი მოვალე ხდება განსაზღვრული დრო და ენერგია მოახმაროს იმ საქმეს, რომლისთვისაც ჯილდოს იღებს. ეს მით უფროა საჭირო, რომ ბევრგან, როგორც თვალყურს ვადევნებთ, მეტად ჩქარა იზრდება ოპერაციები, საქმე თავისით იზრდება, მაშასადამე ითხოვს უფრო მეტ თავისუფალ ხალხს, უფრო მეტ დროს და თუ სხვა რომელიმე ლუკმის მომცემ შრომისაგან არ განთავისუფლდა ადამიანი, იგი იმავე გულმოდგინებით ვერ შესწირავს თავის დროს—კოოპერატივის კეთილდღეობას. ინტერესები კოოპერატივისა და ყოველი მის მუშაკისა და ამხანაგისა მჭიდროდ უნდა იყოს გადაბმულნი ერთი-ერთმანეთზედ რომ კოოპერაციამ საქველ-მოქმედო და მაშასადამე გამრყენელი ხასიათი არ მიიღოს. უნდა ყოველი ამხანაგი გრძობდეს, რომ კოოპერაცია **თანამშრომლობაა საერთო ინტერესების დასაცავად** და არა ერთი ნაწილის გაბედნიერება სხვისი ნაოფლარით. და თუ დასაგმობია მითვისება მუშაკის შრომისა კერძო პირთაგან, ისევე დასაგმობია მისი მითვისება ამხანაგობისაგან. კოოპერაცია განსაკუთრებით სამართლიანობის პრინციპზედ უნდა იყოს აგებული, რომ უსიამოვნობას და შუღლს არა ჰქონდეს ამხანაგთა შორის.

ყველა ზემოაღნიშნული მაშინ უფრო ნათელი ხდება, როდესაც საკოოპერაციო მოქმედება გასცდება პირველ დაწყებით ხანას და მისი ვითარება ყოველდღიური ხდება; როდესაც კოოპერატივს ხელმძღვანელობა და სულის ჩაბერვა კი აღარ სჭირია, არამედ გაბმული, სისტემატიური მუშაობა; როდესაც იგი უკვე გაცილებულია აბსტრაქტულ იდეათა საზღვარს, და პირდაპირ მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა შემქმნელ იარაღად იქცევა ხოლმე.

ამიტომ ჩვენ მოვიწვევთ ყველა კოოპერატივების ხელმძღვანელთ, უკუაგდონ ქართულ საზოგადოებაში გამეფებული აზრი—ქველმოქმედებისა და ხალხში გაამაგრონ რწმენა ყ ველგვარი მუშაობის დაფასების საჭიროებისა. ეს პრინციპი, მართალია, ისეთი პოპულიარული არ არის, როგორც „ქველმოქმედური ქართული მოღვაწეობა“, მაგრამ იგი გაცილებით უფრო საღია და ნაყოფადაც მოჰყვება ნამდვილი საქმის კოოპერატივების შექმნა-განვითარება, რაც ნამეტნავად ეხლაა საჭირო ჩვენთვის და არა მარტო დაარსება ისეთი „საკულტურო ბუდეებისა“, რომლებშიც ბარტყების მაგიერ—ცარიელა ბურტყლები ეყაროს.

ყველა ეს, საანბანო ჭეშმარიტებადაა ცნობილი იქ, საცა კოოპერაცია განვითარებულია, მაგრამ ჩვენში, საუბედუროდ, როგორც ეტყობა, კიდევ

ძლიერად არის გაჟღენთილი ჰაერი უნიათო ქველმოქმედური სულით, რასაც ამტკიცებს თუნდ თელავის და ზოგიერთი სხვა ადგილების საკოოპერაციო ამბები. ჩვენ ვაფრთხილებთ ამხანაგობათა ხელმძღვანელთ და მესვეურთ, არ აჰყვნენ ყოველგვარ მჯღაბნელთა და უსაქმურ „დამსწრეთა“ ზღაპრებს და კეთილსინიდისიერ მუშაობაში ჯილდოს მოთხოვნა სათაკილოდ არ მიიჩნიონ. პირიქით, ვისაც სურს და მართლა გულითაა მოწადინებული, დაუმტკიცოს ხალხს კოოპერაციის დიადი მნიშვნელობა — ის ყოველთვის იმის ცდაში უნდა იყოს, რომ რეალურად დაინტერესოს ყველა ამხანაგი და მომუშავე. მარტო მაშინ შეიძლება კოოპერაციამ ნამდვილი მოქალაქობრივი სული დაბადოს და რეალურ ძალად იქცეს ჩვენს ცხოვრებაში.

კოოპერატორი.

ეროვნული უძლურება და მისი სამი სახე

IV

პირველ წერილში, ჩვენა ვსთქვით რომ, თუმცა ტერიტორია, როგორც ენა და ზნე ჩვეულება, არ არის ერის ორგანიული თვისება, ურომლისოდაც ერს არავითარი სახით არსებობა არ შეუძლია; მაგრამ ის სივრცე, რომელზედაც მას მრავალი ასეული წლის განმავლობაში უშენებია თავისებური კულტურა, აუცილებელი და ერთი მთავარი შესაძლებლობა არის, რომ ერმა იურიდიულად იარსებოს. ამის ნათელსაყოფად გაკვრით რამდენიმე მაგალითიც მოვიყვანეთ, მაგრამ მცირე მაგალითების რიცხვი არ არის საკმარისი ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტისათვის, როგორიც არის ერისა და ეროვნული ტერიტორიის ურთიერთობის საკითხი, რისთვისაც ნებას მივცემთ ჩვენს თავს ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხოთ და ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება შეძლებისა დაგვარად დავასაბუთოთ. ამ მიზნით კვლავ მოგვიხდება მოკლე ისტორიულ განმარტებას მივმართოთ.

ამ საკითხის ვრცლად გაშუქებაზედ არ შევჩერდებოდით, რომ მას დღეს განსაკუთრებული ყურადღება არ ჰქონდეს მიქცეული ჩვენი საზოგადოების მრავალ ჯგუფისა, რომლებიც ერთგვარი წინდაუხედავი პირდაპირობით სწყვეტენ ესოდენ რთულ და დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის ეროვნული ტერიტორიის შენარჩუნება, ამ მხრივ ჩვენს წერილს გარკვეული მიზანი აქვს.

კერძო საკუთრების აღორძინებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია უფლებრივ ინსტიტუტების შექმნაზედ; თუმცა არ შეიძლება უარყოფილ იქმნას არსებობა რაიმე უფლებრივ ნორმებისა, საკუთრების ჩასახვამდისაც, მაგრამ ყოველივე ამგვარ უფლებას ირაციონალური ხასიათი ექნებოდა, რადგანაც ობიექტი უფლებისა გამოურკვეველი იყო. და უფლების ფარგლებში განიზომებოდა ფიზიკური ძალის სიდიდით. ამგვარი უფლებრივი პრინციპი ცხადია, განსაკუთრებული სიძლიერით განმტკიცებული იმ ხანაში იქნებოდა, როდესაც რაიმე მუდმივ კავშირზედ ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა და ყოველივე დროებით ჩასახული კავშირი ირღვეოდა იმ საჭიროების აღსრულებასთანავე, რომელიც იწვევდა კავშირის დაარსებას, მაგრამ რაკი ადამიანი კერძო საკუთრების შემეცნებამდის მივიდა, მუდმივი ან ხანგრძლივი კავშირის დაარსების აუცილებელი საჭიროებაც ცხადი გახდა; საკუთრებათა ინსტიტუტებისათვის აუცილებელი იყო საზოგადოების სანქცია, დაკანონება, რათა თავიდგან აცილებული ყოფილიყოს ყოველივე ქონებრივი არევ-დარევა. ამ ნიადაგზედ შეიქმნა ზეარსი რეგლამენტი, განსაზღვრა ინდივიდისა და ინდივიდთა ერთ-ურთ შორის დამოკიდებულებისა, რომელსაც ბეჭდათ მთელი ოჯახისა, თემისა ან მოდგმის ზნეობრივი სანქცია ედონება გაზოგადდა, კოლექტივად იქცა და შეუდგა პიროვნებათა უფლებრივ „გამიჯვნას“, რასაც სარჩულად დაედო განყენებული პრინციპი „საზოგადოების ინტერესი“.

საკუთრების გარდა, კავშირთა ჩასახვას ხელს უწყობდა მეორე პრინციპი „სისხლით ნათესაობისა“, რომლის აუარებელ ნაშთებს დღესაც ვხვდებით, ყველგან და უწინ ხომ მეტი სიძლიერით იყო ფეხმოდგმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გუნტერი და ზიგფრიდი ეფიცებიან ერთმანეთს დაურღვეველ ერთგულებაში და სისხლის მიღებით განამტკიცებენ მჭიდრო კავშირს გერმანელთა მითიური გმირები. თუ რამდენად პრინციპი „სისხლით ნათესაობისა“ ხდებოდა იმპულსად ამა თუ იმ მორალური შეხედულების შექმნაში, შემდეგ წერილში ვიტყვით, ეხლა კი დავსძენთ რომ სისხლის ნათესაობას იმდენად დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი, უმეტეს ნაწილად განსაზღვრავდა ჯგუფთა შორის დამოკიდებულების ხასიათს. მეტი კიდევ, ეს პრინციპი აკავშირებდა პიროვნებას პიროვნებასთან, ოჯახს ოჯახთან. მხოლოდ საკუთრებამ ეს დაახლოვება მეტის სიძლიერით განამტკიცა, რადგანაც მისტიურ ნათესაობას რეალური ნიადაგი მოუნახა და მით შესაძლებელი გახადა, რომ ჭეშმარიტი და მკვიდრი კავშირი დამყარებულიყო. მაგრამ იმის მიზეზით, რომ საკუთრება ინდივიდუალური კი არა, თემური იყო, რომელზედაც ვრცელდებოდა მფლობელობითი უფლება კოლექტივისა და არა პიროვნებისა,—შესაძლებელი შეიქმნა საერთო ტერიტორიაზედ ლაპარაკი რადგანაც თემური საკუთრება ისეთი ინსტიტიტუტია, რომელშიაც თავსდება მთელი საზოგადოებისა და კერძო პიროვნების ქონებრივი ინტერესები და ვიმეორებ ამ გვარმა ფორმამ საკუთრებისამ წარმოშობა შემეცნება „საერთო ტერიტორიისა“. თუმცა შემდეგში თვით ეს ფორმა საკუთრებისა თითქმის ძირიანად შეიცვალა.

მუდმივი სადგომების შექმნასა და მიწის საკუთრებასთან ერთად იშვა იდეა უფლებისა და მოდგმისა მამამთავარი ხდება მიწის მესაკუთრედ,—ის მცარცველთა ბრბოს წინამძღოლი კი არ არის მარტო მას უკვე უფლება აქვს იმ პირების განსჯა-გაკითხვისა, რომლებიც ცხოვრობენ იმის „სამფლობელოს“ საზღვრებში და ამ გვარ ძირითად შეცვლას თანა სდევდა ჩასახვა სახელმწიფოებრივ ფორმებისა თანამედროვე სახით.

ტერიტორიალური უფლებრივი გამიჯვნა თანდათანობით ხდებოდა; ცხადია ამ გვარ უფლებრივ დიფერენციაციას, სახელმწიფოებრივ ინდივიდუალობის განმტკიცებას ძლიერ ღრმა დამოკიდებულება ჰქონდა მთელი იმ რიგ ობექტიურ პირობებთან, რომელშიაც უხდებოდა ზრდა-განვითარება ამა თუ იმ ერს, რისი მაგალითებიც ჩვენ მესამე წერილში ვუჩვენეთ რომაელთა და ელლინთა კულტურის გაკვრით შედარების დროს. მაგრამ რა გინდ მრავალფეროვანი მოწინააღმდეგე პირობები უნდა იწვევდნენ ორი რომელიმე ეროვნების უფლებრივ შემოქმედებას, მიზანი მაინც ერთია, რადგანაც უფლებრივ შემოქმედებისათვის შაბლონი ერთია, სახელდობრ—პიროვნებათა ნების განსაზღვრა საზოგადო ინტერესების სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ... ასეთი არის შინაური უფლებრივი შემოქმედება, მოქცეული განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, სავალდებულო მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებიც სცხოვრობენ ამ სივრცეზედ. პრუსიის კაროლი ატარებს ღირსებას გერმანელთა იმპერატორისას და არა გერმანიის იმპერატორისას, რადგანაც ეს ცხადი უზურპაცია იქნებოდა სხვა გერმანელ სახელმწიფოების. პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებისა, ა იტომ ამბობს პროფესორი ივენსი, უზენაესი უფლება გერმანელთა იმპერატორისა უფრო მიაგავს უფლებას ტომის უფროსისას, რადგანაც იგი არის მთავარი გერმანელ სახელმწიფოებისა, მხოლოდ ტერიტორიალური უფლება კი მას მხოლოდ და მხოლოდ პრუსიის საზღვრებში აქვსო.

თუ რამდენად უფლება გადაკვანძულია საკუთრებასთან ეს იქიდანაც სჩანს რომ ყოველივე ერს თავის განვითარების ისტორიულ ხანაში აქვს თავისი საზომი იმისა, თუ რომელი მოქალაქე უნდა ითვლებოდეს უფლების მქონედ და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ უფლებათა განსაზღვრაში მთავარ როლს თამაშობს პრინციპი კერძო საკუთრებისა. გავიხსენოთ რომაელთა, ელლინთა, გერმანელთა სოციალური კლასები და დავინახავთ, რომ უფლებათა განწესრიგება პირდაპირ დამოკიდებულებაშია იმისაგან, თუ რომელი კლასი, წოდება, როგორ საკუთრების ერთეულს წარმოადგენდა, მაგრამ საკუთრება შინაურს უფლებრივ შემოქმედებას კი არ განსაზღვრავდა მარტო, იგივე საკუთრება ედებოდა სარჩულად გარეულ პოლიტიკასაც, რასაც დავინახავთ თუ კი გავიხსენებთ რომაელთა დამოკიდებულებას სხვა ლათინთა ტომის ჯგუფებთან.

ისტორიულ მაგალითებს რომ თვალი გადავავლოთ და დაუკვირდეთ დღევანდელი სახელმწიფოების შინაურ უფლებათა განწესრიგებას, იძულებული ვიქნებით ვაღიარეთ, რომ უფლებრივი ფორმები ყოველი სახელმწიფოსი გამოწვეულნი არიან, „სოციალური ინტერესით“ და წარმოადგენენ ემდენად რეალურ ძალას, რამდენადაც არ სცილდებიან იმ გეოგრაფიულ საზღვარს, რომელშიაც სცხოვრობს ერი, მისი შემქმნელი. ამ მხრივ უფლება, როგორც ნაყოფი ეროვნული ერთეულისა მომწყვდეულია იმავე ეთნოგრაფიულ საზღვრებში, როგორც ერი, რადგანაც უფლება, როგორც ტრანსცენდენტი არ არსებობს. განაშორეთ უფლება სივრცეს, უფლება იურიდიული, და იგი ცხად ფიქციად იქცევა, რადგანაც უფლება გულისხმობს ვალდებულებას. ვალდებულება კი მიმართულია „ვინმესადმი“ ან „რისადმი“; ვალდებულება აბსოლუტისადმი ეს რელიგიური ვალდებულება არის, და იგი ლახავს გეოგრაფიულ საზღვარს, მაგრამ ვალდებულება იური-

დიული, კანონმდებელი შემეცნება არის და ამიტომ ვამბობთ, რომ იგი აუცილებლად მომწყვდეულია სივრცეში. ასე რომ მთელი რიგი ეროვნულ უფლებათა თავის დღეში ვერ გასცილდება მის გეოგრაფიულ საზღვრებს ისე, თუ არ იქნა დარღვეული უფლებანი მეორე მისსავე მსგავს ეროვნებისა, მაგრამ ძლევა მოსილი კანონი და უფლება მხოლოდ ერის კუთვნილი სივრცეზედ არის.

შემეცნება ეროვნებისა—ამბობს იგივე ევანსი—აუცილებლად გულისხმობს მუდმივ და განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებს. შეიძლება მოხდეს ცვლა ხასიათისა, ზნე-ჩვეულებისა მცხოვრებელთა შორის; შეიცვალოს ფორმა მართველობისა, როგორც შედეგი იმიგრაციისა და რევოლიუციისა; კერძო პირები და ოჯახები შეიძლება გაჰქრნენ, მაგრამ ერი კვლავ განაგრძობს არსებობას განსაზღვრულ ტერიტორიალურ საზღვრებში და არ ირღვევა სხვა ელემენტების შერევით. ალბად პატივცემულ პროფესორს მხედველობაში ერის უფლებრივი არსებობა ჰქონდა, როდესაც მიგვითითებდა გეოგრაფიულ საზღვრებზედ, რადგანაც არ შეიძლება არ სცოდნოდა მას, რომ ერი არსებობს ტერიტორიის გარეშეც, როგორც მაგალითად ებრაელები. ასე რომ, თუ პროფესორს ევანსს გავყვებით, აუცილებლად იქ მივალთ, საიდანაც ჩვენ ჩვენი მთავარი დებულება გამოვიყვანეთ, რომ ერის უფლებრივი არსებობა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ კი არსებობს მთლიანი სივრცე გეოგრაფიული საზღვრებისა, რომელთა შორის ერს შეეძლება თავისუფალი და ყოველ მხრივი შემოქმედება.

ჩვენ ზემოდ ნაჩვენებ მაგალითებით მხოლოდ იმის გარკვევა გვინდოდა თუ რა წესით მოხდა ჯერ-ერთი ეროვნებათა ტერიტორიალური განკერძოება და მეორე, ნათელ გვეყო სინამდვილე იმ დებულებისა, რომ უფლებრივი ინსტიტუტების ჩასახვა შესაძლებელი იყო მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც კერძო საკუთრება მოძრავ ნივთებს გარდა მიწაზედაც გავრცელდა, როდესაც ოჯახმა, ნათესავთა კავშირმა, ან ეროვნულმა ჯგუფმა ფეხი დაადგა განსაზღვრულ სივრცეს და მას თავისი საკუთრება უწოდა, ამ მიზნით შევეხეთ უფლების ხასიათს საზოგადოთ. შემდეგ წერილში შევეხებით ტერიტორიის მნიშვნელობას საერთოდ ეროვნულ თავისებურ კულტურის განვითარებაში და ვეცდებით გამოვიკვლიოთ დამოკიდებულება ერსა და მის მიერ ისტორიულად შეძენილ ტერიტორიის შორის, ეხლა კი დასასრულ, თავს მოუყრით უკვე თქმულს, რათა სისტემა შემდეგი განმარტებისა მას მჭიდროდ დაუკავშირდეს:

ეროვნულ მთლიანობის შექმნაში ორი ფაქტორი მოქმედებდა: პრინციპი სისხლის ნათესაობისა და კერძო საკუთრება. პირველი ჰქმნიდა მისტიურ მთლიანობას და ისტორიის სიგრძეზედ ვხედავთ თუ რა სიძლიერით მოქმედობს ეს პრინციპი ტომთა და ეროვნულ ჯგუფთა ურთიერთობაში, განსაკუთრებით მის შემდეგ, როდესაც ეროვნულმა რელიგიებმა დაადასტურეს იგი. კერძო საკუთრებამ, როგორც ზევითა ვსთქვით მოუნახა რეალური ნიადაგი ნათესაობას და განამტკიცა იგი სივრცეში; მანვე შესაძლებლად გახადა წარმოშობა სახელმწიფოებრივ ფორმებისა, რომელთა თანდათანობით განვითარებამ შედეგად მოგვცა დღევანდელი ნაციონალური ერთეულები და ამ რიგად კერძო საკუთრებაში ვპოულობა მიზეზი ჯერ ერთი უფლებათა ჩასახვისა და მეორე ეროვნულ ტერიტორიათა გეოგრაფიულად გამოყოფისა. ამისათვის, როდესაც რომელიმე ერზედ ვლაპარაკობთ თავის თავად ვგულისხმობთ სივრცეს, რომელზედაც იგი არსებობს, მოქმედობს და ჰქმნის სხვა და სხვა ღირებულებას, არა როგორც ინდივიდი, არაძედ როგორც კოლექტივი, განსახიერებული ენაში, ზოგად ჩვეულებებში და უფლებაში.

ასე რომ ერის იურიდიული არსებობისათვის აუცილებელი არის კომპაქტური სივრცე, რათა მან თავისუფლად აშენოს უფლებრივი შენობა, რომელშიაც იგი ჩააქსოვს განსაკუთრებით მას, რაც უფრო აუცილებელი არის ყოველ მხრივი შემოქმედებისათვის.

შალვა ჯ. ძე.

ნ ა რ ე ვ ი

ფუტკრების სიმღერა. აქამდის უველამ იცოდა, რომ ,,ტიუ, ტიუ, ტიუ''-ს წიწილები თუ იძახდნენ და ეგვ, ეგვ, ეგვა''-ს კიდევ ეგვეები. მართალია, ზოგი ამბობდა, რომ ბაყაყებიც ასე ეიყინებენ: „ეგვ, ეგვ, ეგვა“, მაგრამ ეს... ეურზეა დაშოკიდებულია, იძახდნენ მეორენი. თურმე ნუ იტყვით კი, ტიუ, ტიუ და ეგვ, ეგვ-სა ქეთაისში ფუტკრებიც ,,მღერიან''. იქნება მკითხველს გაუკვირდეს ასეთი ამბავი, მაგრამ ცნობა ფრიად კონფუტენტოვან წყაროდან მოგვყავს: **„სასოფლო გაზეთი“ № 22. მეფუტკრეობის ანბანი**

ნამთავარა ნაყარი გამოსვლის შემდეგ სკაში იწყება ახალგაზრდა უხნესი დედა, რომელსაც მუშები არ ანებებენ დანარჩენი სადედეების დანგრეყას და შიგ მეოთი, გამოასკვლეულთ მომზადებული ახალგაზრდა დედების დახოცვას; მაშინ ნამთავარა დედა მორთავს სიმღერას ამ ნაირად: „ტიუ ტიუ-ტიუ“. რაკი გაიგონებენ სხვა გამოსასვლელთ დამთავრებული ახალგაზრდა დედები ამ სიმღერას, შეშინებულები აღარ გამოდიან ფიჭიდან, შიგ რჩებიან და თითქოს შასუხს აძლევენ თავის უფროს დასა, მორთავენ სიმღერას — ეიყინებენ: „ეგვ ეგვ ეგვ“.

სწორედ ამისთანა ამბავზედ იტყეიან ხოდმე ჩვენში: რამდენი ფუტკარი ჭკვაა. თუმცა ეს შემცდარი მოსაზრებაა: თუ კი ,,გ. შ-ს'' შეუძლიან დაბადებულ ფუტკრის სიმღერისა და დაუბადებელ ფუტკრის ეიყინის გაგონება, რატომ ამ ფუტკრებს არ შეუძლიანთ ეიყინიც და სიმღერაც. თუ დავაცდით, დარწმუნებულნი ვართ, თარზე ბაიათებსაც დაუგრაგენ და ქალბატონ დენკანის ბალსტიურ ტეკვასაც გვანახვებენ. გზა მიეცით ამ სუფსარეისტკებს.

უთვლო ავტომობილი. ბერლინში, ამას წინად გამოსცადეს ერთ გერმანელ ინჟინერისგან გამოგონებული მატარებელი, რომელიც, თვლების მაგიერ მარხილზედ არის გამართული. მოტორის საშუალებით, მარხილის ფეხები რიგრიგობით იწევიან მაღლა და წინ გადიწევიან ჰაერში. ამგვარად მთელი ავტომობილი, ,,მიბიჯებს'' წინა, ადამიანივით- ეს გამოგონება მით არის უფრო საეურადღებო, რომ მისთვის ადმართ-დაღმართი არ არსებობს, რადგან მისი ,,ფეხი'' არა სხლტება გზაზედ თვალისავით და საგორავები არა სჭირია.

ამბობენ, ახლო მომავალში, იგივე ინჟინერი აპირობს ამ ფეხიან ავტომობილს ოთხი ისეთი ფეხი გაუკეთოს, რომელთა მოძრაობა ემგზავსებოდეს ცხენის ფეხთა მოძრაობას და ჩვენ მოწამენი გავხდებით... რკინის და ფოლადის ცხენებს აბამდნენ სხვა და სხვა ეტლში.

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

ქინციკიძეს: „...არ ძალმიძს მუზა მოვიხმო,
ავაყდერვინო (?) გიტარა...“

მერე ამ სიტყვაში ვინ გატანს ძალს; რაზე ეწვალები ან შენ, ან ჩვენ რას გვერჩი?

მ ც--ს: ...„ერთი ხანია გიმნაზია გავათავე და მინდა რამე საქმეს მოვეკიდოო''—გვწერთ.

გიმნაზია გათავეთ და არ იცით რომ კლდე ცუდი ხელმოსაკიდია.

ც-ციას: ...აბა მარჯვენა ხელითა სცადეთ წერა, იქნება უფრო ჭკვიანური რამ გამოვიდეს.

ჟურნალ „კლდის“ № 18-ში მოთავსებულ წერილისა „სახელმწიფო სათათბიროს კომედია“ და № 19-ში დაბეჭდილ წერილისათვის — „საშინელი ბედურება“ (ტირიფონის შესახებ) რედაქტორი პასუხისგებაშია მიცემული, 1034 და 152 მუხლის ლის ძალით. პირი საბრალმდებელო ოქმისა მას უკვე ჩაჰბარდა 27-ს თიბათვეს.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

№ 10 ლონდონი, 2 ივნისი 1913 წ.

ჩვენ მანდილოსანთა საყურადღებოდ!

წინდის საქსოვი მანქანები

ჩვენ სოფლებში ბევრი კურთხეული ხელისაგან მოქსოვილი კარგი წინდა იშოვება და ბევრ შემთხვევაში იგი საბაზროდაც გამოაქვთ. ეჭვ გარეშეა, რომ ხშირად კარგი ხელოსანი ძლიერ მაგარსა და ლამაზ წინდას მოქსოვს, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად ვცხოვრობთ მანქანის საუკუნეში, როდესაც სიჩქარეს ღმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული.

ამ მიზნით საუკეთესო ინგლისიურ ქარხანას დავამზადებინეთ წინდის საქსოვი მანქანები, რომელნიც საუკეთესო ღირსებისანი არიან და ძლიერ ხელ მისაწდომი.

ასეთ მანქანებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ჩვენში ბევრი ფირმა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით ჰყიდის ასეთ მანქანებს და **მის შემქენს ხშირად თითო ცალი 120 მანეთი უჯდება.**

ჩვენ შეგვიძლიან მსურველთ მივაწოდოთ ორი ტიპის მანქანა.

„ს ა ნ“ № 1 84 ჩხირით ცილინდრის დიამეტრი $4^1/_2$ დიუმი, ყოველივე თავის მოწყობილებით, **ჩვენში ჩაბარებით—მარტო 65 მანეთი.**

ჩვეულებრივად მანქანის ცილინდრი 84 ჩხირიანია, მაგრამ თუ გსურთ ძლიერ წმინდათ მოქსოვა შეგიძლიანთ აიღოთ ცილინდრი:

108 ჩხირით.	მაშინ	მანქანა	დაგიჯდებათ	70 მანეთი
132	„	„	„	74 „
160	„	„	„	78 „

„ნ ტოლი“ № 2, 84 ჩხირით, ცილინდრის დიამეტრი $3^1/_2$ $3^3/_4$ და $4^1/_4$ დიუმი, ყოველივე თავის მოწყობილებით **ჩვენში ჩაბარებით — 50 მანეთი.**

108 ჩხირით	მანქანა	დაგიჯდებათ	55	მანეთი
312	„	„	60	„

წინდების და სხვა სამოსელის საქსოვი მანქანა № 3.

მაზე შეგიძლიანთ მოქსოვოთ აბრეშუმის, მატყლის და ბამბის ძაფით: პაიჭები, ხელთათმანები, ბავშვების პერანგები, ფარდები, ბალიშის პირები და სხ. და სხ.

მანქანა ძლიერ გამოსადეგია პატარა საქსოვ ქარხნისათვის. 84 ჩხირით, სიგრძე 31 სანტიმეტრი, ყოველივე თავის მოწყობილებით, **ჩვენში ჩაბარებით—100 მანეთი.**

ჩვენგანვე შეგიძლიანთ გამოიწეროთ ჩხირები და მანქანის ყველა ნაწილები პირიან ფასებში, **გამოწერილ მანქანასთან ერთად გამოიგზავნება ქართულად შედგენილი სახმარი დარიგება.**

საქსოვი მატყლის და ბამბის ძაფი მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ადგილობრივ, რადგან უცხოეთიდან შემოტანილზე დიდი ბაჟი ადევს. მაგრამ იმ შემთხვევაში კი, როდესაც ფასს არ მოერიდებით შეგიძლიანთ ჩვენგან გამოიწეროთ.

ამ მანქანების გამოწერა შეგიძლიანთ პირდაპირ ჩვენგან შემდეგი მისამართით:

D. GHAMBASHIDZE et C°. 61. Mark Lane. London. E. O.

ან შემდეგი ადგილებიდან:

1. **თელავი:** შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა;
2. **კახი:** (ზაქათალის ოლქი) ბ-ნი ილია ჭყონია;
3. **თბილისი:** ბ-ნი ტრ. ღამბაშიძე, გოლ. პრ. № 6;
4. **სად. ქარელი:** თავ. დიმიტრი დიასამიძე;
5. **ყვირილა:** ბ-ნი იოსებ გუნცაძე;
6. **სამტრედია:** ბ-ნი კ. კვანტალიანი;
7. **ჭრებალო:** (რაჭა) საკრედიტო ამხანაგობა;
8. **ოზურგეთი:** აგრონომი ერ. ნაკაშიძე;
9. **ბათომი:** ბ-ნი ლუკა ჩხენკელი თბილ. ქ. № 32;
10. **ქუთაისი:** ბ-ნი ისიდორე კვიცარიძე.

პატივისცემით: **დავით ღამბაშიძე** და **ამხ.**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

ეოველკვირეული სამსატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი იორ შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპ-ნის“ სტამბაში).

1894 წლიდან 1914 წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.